პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
შაბათი
2
თებერვალი
№ 27
(17672)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲮᲐᲛᲝᲑᲡ

ᲓᲐᲬᲝᲒᲘᲚᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲗ

მახარაძე, (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე.). რაიონის ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს საწარმოში — აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში შრომის დღესასწაულის მაღალ დონეზე გასამართავად ლენინური შაბათობის მომწყობები შტაბი შექმნეს. გადაწყდა, რომ ამ დღეს სამუშაოდ გამოვა 860 კაცი და გამომუშავებულ 2650 მანეთს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ. შაბათობის დღეს ფაბრიკის კოლექტივი დაზოგილი ნედლეულით, საწვავითა და ელექტროენერგიით იმუშავებს.

ფაბრიკის გარშემო დარგავენ ათობით ძირ მარადმწვანე მცენარეს. ფიქრობენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ლენინური ეკონომიკური ბანკრული სამშობლოს ოთხი თვის განმავლობაში შესრულება. მოწინავე ცვლამ, რომელსაც ჟანო ვაშალომიძე ხელმძღვანელობს, ვალდებულება აიღო „წითელი შაბათობის“ დღეს დაამზადოს 2.625 კილოგრამი ძაფი.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

მოსწორნს მომხმარებელს თბილისის „ელექტროშედუღების“ ქარხნის პროდუქცია. მას სახელს უხვევს საწარმოს ასობით შუშა. მოწინავეთა შორის ზეინკალი ა. ბუაძეც არის.

დაუფასდა თავდადებული შრომა თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელმავალმშენებლის“ მემონტაჟეთა ბრიგადირს გ. მეტონიძეს. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს.

სურათებზე: ა. ბუაძე და გ. მეტონიძე; შუაში ელექტროშესადუღებელი აპარატურა.

თ. ნიკოლაიშვილისა და ჯ. ლომაძის ფოტო.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲘᲗ

ცხაკაია. წლევანდელი წელი ხალიჩის კომბინატის კოლექტივმა „ქარგი მაჩვენებლებით დაიწყო. აქ მიაღწიეს ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ შრომის ნაყოფიერების დონეს. წარმოების მთლიან მოცულობაში პროდუქციის ორმოცი პროცენტი ხარისხის ნიშნით გამოდის.

ცხაკაიელი მეხალიჩეები მხურვალედ შეხვდნენ მოსკოვის მშრომელების მოწოდებას კომუნისტური შაბათობის მოწყობისათვის.

კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა „წითელი შაბათობის“ დროს დაიწყოს ოლიმპიურსიმბოლოიანი ახალი ნაწარმის მასობრივი წარმოება, პროდუქციის მეოთხედი ნაწილი დაზოგილი ნედლეულისაგან გამოუშვას.

ᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა 1979 სამეურნეო წლის შედეგები და 1980 წლის და, მთლიანად, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციის საქმეში აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. უბირავამ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება და დამტკიცა მშრომელთა კოლექტივების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, რომლებმაც გადაწყვიტეს განაგრძონ ტრადიციული შეჯიბრება აჭარის სსრ რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებთან.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ.

ი. ᲒᲝᲒᲝᲕᲘᲩᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახლახან გამართულმა აჭარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მოისმინა აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. უნგიაძის მოხსენება აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1979 წლის შედეგები და 1980 წლის და, მთლიანად მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების ამოცანები“.

კრების მონაწილეებმა ილაპარაკეს შარშან მოპოვებულ წარმატებებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს არსებულ ნაკლოვანებებს და განხილეს მნიშვნელოვანი ამოცანები.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპენიძემ.

კრებამ მიიღო აჭარის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1980 წლისათვის.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ

საკდესის კოლეგიისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკურ საინფორმაციო სააგენტოებს შორის გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის მეორე ნახევრის შედეგების მიხედვით საქინფორმის კოლექტივს მიენიჭა მესამე ადგილი და პრემია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ 1980 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სოფლის მეურნეობა: იხელმძღვანელებენ რა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, შრომის ნაყოფიერებას სოფლის მეურნეობაში გაზრდიან 2 პროცენტით, მიაღწევენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას 10 პროცენტით.

მინდვრის მშრომელები იბრძოლებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, უზრუნველყოფენ, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახელმწიფომ მიიღოს 21,5 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მთელ მოკრეფილ მასაში პირველი ხარისხის ნედლეული წილს აიღებენ 71,0 პროცენტამდე. საშუალო საპენტარო მოსავლიანობას კი გაზრდიან 300 კილოგრამამდე.

მიეყიდება სახელმწიფოს სმენდის მარცვალი 1100 ტონა, სოია 160 ტონა, ლობიო 10 ტონა, ხილი 4000 ტონა, ყურძენი 1000 ტონა, ტუნგოს ნაყოფი 2500 ტონა, აბრეშუმის პარკი 240 ცენტნერი, ხორცი 1130 ტონა, რძე 2000 ტონა, კვერცხი 2 მილიონ 300 ათასი ცალი. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სიმინდის საშუალო-საპენტარო მოსავლიანობას გაზრდიან 35 ცენტნერამდე.

განახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ერთი ფურის საშუალო წველადობას აიყვანენ 1650 კილოგრამამდე და სულ აწარმოებენ 2500 ტონა რძეს. ერთი მოქცეულის კვერცხმდებლობა იქნება 150 ცალი. მიიღებენ 100 ძროხაზე გაანგარიშებით 80 სულ ნამატს, 100 თხაზე 100 თიკანს და თითო ნეზვზე 11 გოჭს. მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით ჩადებენ 5000 ტონა სენაჟს, დაამზადებენ 4000 ტონა თივას, 10000 ტონა სილოსს.

მრეწველობა და ტრანსპორტი: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, დანერგვის შრომის ნაყოფიერების გზით სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიურ გეგმას შეასრულებენ 20 დეკემბრისათვის. სულ გეგმის ზევით გამოუშვებენ 1 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას. ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეები აწარმოებენ 26,5 მილიონი მანეთის პროდუქციას, გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას საგეგმოსთან შედარებით 1,0 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებენ 0,5 პროცენტით, სახელმწიფოს მისცემენ 500 ათასი მანეთის ზეგეგმიურ მოგებას, წარმოებაში დანერგავენ 6 რაციონალიზატორულ წინადადებას.

მშენებლობა: 1979 წელთან შედარებით რაიონის სამშენებლო ორგანიზაციები 0,3 მილიონი მანეთით მეტ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს შეასრულებენ. უზრუნველყოფენ ყველა სამშენებლო ობიექტის ჩაბარებას. მთავარი ყურადღება დაეთმობა კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომ ამაღლებას. „ქარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით, ჩაბარდება ობიექტების 50 პროცენტი, მშენებელთა მთავარ ყურადღებას დაუთმობენ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ!

ალოგინი დაწყებამდე სულ ცოტა ორი კვირით ადრე მოამზადონ ტექნიკა მინდვრის სამუშაოებისათვის — აი სოფლის მშრომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომლის შესრულებასაც მიზნად უსახავს მექანიზატორებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1980 წელს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა მომზადებისა და ჩატარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

ახლა რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს მანქანა-ტრაქტორების პარკის მომზადება თესვის კამპანიისათვის. ბევრ მეურნეობაში უკვე შეკეთებულია გუთნები, კულტივატორები, სათესლები, კომბაინები და სხვ. უკვე გამზადებულია სამუშაოდ 19.381 მანქანა. წარმატებით მიმდინარეობს ტრაქტორების შეკეთება ხაშურის, ქარელის, გორის, წალენჯიხის, ჭიათურის, ზესტაფონის, ონის, ლენტეხის, ბაღდათის, ვანის, თერჯოლის, გეგეჭკორისა და ზოგიერთი სხვა რაიონის, ქალაქ წყალტუბოს ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამავე დროს ასპინძის, საგარეჯოს, თიანეთისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებში აყოვნებენ ამ საქმირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადებას.

დამაკმაყოფილებელი ვერ არის ჩაის საკრეფი ტექნიკის შეკეთების ტემპი. „საქართველო“ და „ჩა-900“ მარკის 820 მანქანადან მზად არის მხოლოდ 612.

სათადარიგო ნაწილების მოწოდების მოწესრიგება რესპუბლიკის მექანიზატორებს დაეხმარება ვალდებულებით განსაზღვრულ ვადებში სამუშაოდ გამზადონ მთელი ტექნიკა.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲐᲛᲗᲐᲕᲘᲗᲗᲕᲔ — ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲘ, ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!





ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ — ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შარშან თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. ამ წარმატებას თავიანთი ღირსეული წვლილი შემატეს საქსახსოფლტექნიკის მუშაკებმა. მათ მიერ ორგანიზებულმა საწარმოო-ტექნიკურმა უზრუნველყოფამ, ტექნიკის გამოყენების მოწინავე მეთოდების დანერგვამ, მუშაობაში ავტომატიზებული და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების შემოღებამ, შრომის ნაყოფიერების გაზრდამ შესაძლებლობა მისცა შეესრულებინათ მეათე ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი.

მეათე ხუთწლედის 4 წლინაშიდან გამოშვებული პროდუქციის, მომსახურებისა და საიჯარო-სამშენებლო სამუშაოების მოცულობამ 407,2 მილიონი მანეთი შეადგინა მეცხრე ხუთწლედის შესაბამისი პერიოდის 194,3 მილიონი მანეთის ნაცვლად მაშასადამე, ზრდის ტემპმა ორჯერ და მეტად მოიმატა და 59,2 პროცენტს მიაღწია. კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლებია ცალკეული დარგების მიხედვით. სარემონტო საწარმოებმა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ოთხი წლის გეგმა 104,7 პროცენტით შეასრულეს, მექანიზებული სამუშაოებისა — 110-ით, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა — 106,6-ით; გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ავტომობილებისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და მეცხოველეობის ფერმების ტექნიკური მომსახურების გეგმები. 4 წელიწადში რეალიზებულია 783,8 მილიონი მანეთის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, ანუ გეგმის 101 პროცენტი. შარშან სარემონტო საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 101,3 პროცენტით, მექანიზებული სამუშაოების 104,6-ით, ავტოტრანსპორტის — 103-ით, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა — 105,6-ით, საქონელბრუნვისა — 100 პროცენტით და სხვ.

სისტემის მუშაკებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ რაგინდ მაღალ ციფრობრივ თუ პროცენტულ მონაცემებსაც უნდა იძლეოდეს საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმების შესრულება, მთელი ჩვენი საქმიანობის უმთავრეს კრიტერიუმად რჩება ამ უზრუნველყოფის რეალური ეფექტი, მისი უშუალო გავლენა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაზე. ბოლო პერიოდში ჩვენი მუშაობის სწორედ ამ გადამწყვეტ ფაქტორს ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას.

ხუთწლედის 4 წლის მანძილზე საქსახსოფლტექნიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დინამიკა და ზრდის ტემპები, დადებითი ძვრები შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის წარმოების გადიდების, აგრეთვე ხარისხის ამაღლების საქმეში მთელი ხუთწლედის დავალებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულების სრულ გარანტიას იძლევა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს წარმატებებთან ერთად არ გვქონდეს ნაკლოვანებები და ხარვეზები, არ გვყავდეს ჩამორჩენილები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVIII პლენუმზე სრულიად სამართლიანად იყო გაკრიტიკებული საქსახსოფლტექნიკა იმის გამო, რომ ნოემბერში საგეგმო დავალებათა შესრულების საქმეში ჩამორჩებოდა სისტემის 14 ორგანიზაცია, მრეწველობის გეგმები შესრულებული არ ჰქონდა აგრეთვე 16 ორგანიზაციას. კომიტეტმა გააანალიზა პლენუმზე გამოთქმული შენიშვნა, გაითვალისწინა სხვა ნაკლოვანებებიც, რომლებიც აფერხებდა რეწყობელურ მუშაობას. სათანადო ღონისძიებების შედეგად წლის ბოლოსათვის შრომის ნაყოფიერების გეგმები შესარულა ათმა ჩამორჩენილმა ორგანიზაციამ, მრეწველობაში კი მდგომარეობა გამოასწორა 15-მა ორგანიზაციამ. ჩამორჩენლთა შორის დარჩა მხოლოდ საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ ქარელის სარემონტო ქარხანა. ეს ფაქტი მიგვითითებს, რომ რიტმულ მუშაობას სისტემატური, შეუნელებელი ყურადღება სჭირდება. ამასთან განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს მუშაობის ხარისხის ამაღლება. ამ დარგში ხარისხობრივ მაჩვენებლების ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შარშან სისტემაში შეიქმნა ხარისხის სამმართველო, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური დანადგარების რემონტის გაუმჯობესებას, არამედ ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას.

მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 13096 ახალი ტრაქტორი, 852 კომბაინი, 9888 ავტომობილი, ათასობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი, აშენდა და რეკონსტრუირებულია მეცხოველეობის მრავალი მსხვილი კომპლექსი, მეფრინველეობის ფაბრიკა და სხვ. შესაბამისად განმტკიცდა საქსახსოფლტექნიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, რომელიც თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზეა მოწყობილი.

კიდევ უფრო მასშტაბურია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის პერსპექტივები, რომლებსაც სახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილება, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას მძლავრი განვითარების უდიდეს პერსპექტივებს უსახავს, ახალ გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საქსახსოფლტექნიკას უკვე მიმდინარე, 1980 წელს.

მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ყურძნის, ხილის, კარტოფილის, ჩაის ფოთლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ერთიორად გადიდება ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზრდის, ახალი ვენახების, ხეხილის ბაღების, პლანტაციების გაშენებისა და ახალი სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ამოქმედების გზით. ამ მიზნით მინები გაუმჯობესდება 160 ათას ჰექტარზე, დაპლანტაჟდება 80 ათასი ჰექტარი, დატერასდება 5000 ჰექტარი, აუთვისებელ სათიბ-საძოვრებზე გაიყვანენ 1000 კილომეტრ გზებს, 1000 ჰექტარზე აშენდება ლიმონარიუმები და ა. შ.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ათვისების ღონისძიებებს. გამოუყენებელი სათიბ-საძოვრების ათვისებისათვის ამჟამად საქსახსოფლტექნიკის ინსტიტუტში მუშავდება და 1981 წლისათვის დამთავრდება სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების თანამედროვე ტექნოლოგია.

საქსახსოფლტექნიკის მუშაკების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მაქსიმალური მექანიზაცია, ვინაიდან სულ უფრო მზარდი რაოდენობის პროდუქციის წარმოება, ტრანსპორტირება და დაბინავება შეუძლებელია კარგად გამართული სათანადო ტექნიკის ფართო ასორტიმენტის მანქანების მაღალეფექტიანი გამოყენების გარეშე. ეს საქსახსოფლტექნიკის თითოეულ მექანიზატორს, სპეციალისტს, მუშაკს ავალებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუდმივი მზადაყოფნისა და ეფექტიანად გამოყენების, დანადგარ-მონყობილობებით, ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, მასალებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების შეუფარხვილი მომარაგების საქმეს. მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების სათანადო ტექნიკურ აღჭურვასთან ერთად მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მათი მონყობილობა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების ხარისხი.

სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებაში კიდევ უფრო ავამაღლებთ საქსახსოფლტექნიკის ავტოტრანსპორტის როლს; უნდა მოხდეს მისი რაციონალური დისლოკაცია, რათა მინიმუმამდე შემცირდეს მანქანების მოცდენები და მაქსიმალურად გამოვიყენოთ მათი ტვირთამწეობა; მეტ ყურადღებას საჭიროებს აგრეთვე სოფლად საინჟინრო სამსახური. ამ საქმეშიც გადამწყვეტი სიტყვა საქსახსოფლტექნიკას ეკუთვნის.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიების ხორცშესხმა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია გულმოდგინე და ნაყოფიერ მუშაობაზე. ამიტომ კიდევ უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ მასობრივი კვალიფიკაციის, აგრეთვე ახალი პროფილისა და ტექნიკური ორიენტაციის კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

საქსახსოფლტექნიკის კოლეგიტივი, რომელიც აქტიურად ჩაება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დამკვრელურად შრომობს იმისათვის, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების დღისათვის, 7 ოქტომბრისათვის შეასრულოს მეათე ხუთწლედის გეგმა-დავალებები.

დ. ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲔᲫᲘᲔᲑᲡ ᲠᲔᲖᲘᲠᲕᲔᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲝᲑᲐ

გამოვიდა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული სტატისტიკური კრებული „სსრ კავშირის მოსახლეობა. მოსახლეობის 1979 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემები“.

ბროშურაში ძირითადი სტატისტიკური მასალები მოყვანილია რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოკრუგებისა და დიდი ქალაქების მიხედვით. ბროშურა შეიცავს მონაცემებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, მისი განათლების დონის, ეროვნული შემადგენლობისა და ენის, საარსებო სახსრების წყაროს, ქორწინებრივი მოგომარეობის, აგრეთვე საბჭოთა ოჯახის შესახებ. კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲐᲛᲝᲠᲘᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲩᲘ (ხაბაროვსკის მხარე). ახალი პროდუქციის „ხახალინის“ ტიპის სეინერტრალერების გამოშვებით დაიწყო ხუთწლედის დამამთავრებელი წელი გემთმსაშენმა ამურის ნიკოლაევსკში. პირველმა გემმა, რომელმაც, „აიარა გამოცდა შესანიშნავი საზღვაოსნო და სარეწაო თვისებები გამოამჟღავნა, გემთმშენებლებმა გადაწყვიტეს წარმოების შინაგანი რეზერვების ინტენსიური გამოყენების გზით გემის გადაპარბებით შეასრულონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პროგრამა.

✦✦

ᲚᲕᲝᲕᲘ. ოლქის მინდვრებზე ფართო გავრცელებისთვის არის რეკომენდებული ახალი სახეობის კარტოფილი „ლვოვიანკა“. სახელმწიფო საცდელ სადგურებში სამწლიანი გამოცდის მანძილზე მან მიქტარზე საშუალოდ მოგვცა 600 ცენტნერზე მეტი კარტოფილი, ახალი ჯიშის კარტოფილი, რომელიც ლვოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს, წილს 3 ათას მიქტარზე მიტს დაიკავებს.

✦✦

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. უკრაინისა და თურქმენეთის მეცნიერებმა 60-80 კილომეტრ სიმაღლეზე აღრიცხეს მეტეორიტის მტვრის ძლიერი ფენა. ეს გააკეთეს ლაზერის დანადგარის საშუალებით, რომელიც ხარკოვის რადიოელექტრონიკის ინსტიტუტშია შექმნილი. მეცნიერთა გამოკვლევები დაგეგმარება შეიფასოთ მეტეორიტის მტვრის ზეგავლენა მზის სინათლის ნაკადზე დასუსტებაზე და მოვახდინოთ იმ სითბოს დაეკრანება, რომელსაც პლანეტა გამოასხივებს. ამ პროცესების ზუსტი მოდელი ჰავის ცვლილებათა პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა.

✦✦

ᲣᲡᲐ-ᲙᲐᲛᲔᲜᲒᲝᲠᲪᲘ. დამთავრდა აღმოსავლეთ-აფხაზეთის ყამირის საბჭოთა მეურნეობა „პერეოროსიის“ ცენტრალური ქარმდამოს ჩამოყალიბება, რომელიც აშენდა გენერალური გეგმის მიხედვით. ეს არის ლამაზი ავროქალაქი სწორი ქუჩებით, რომელთა გასწვრივ აღმართა ქალაქური ტიპის სახლების რიგი. რაიონულ და საოლქო ცენტრებთან საბჭოთა მეურნეობა დაკავშირეს გზატკეცილმა და რკინიგზამ. ახალი აგროქალაქი გაშენდა მთის მდინარე ბუხტარმის თვალწარმტაც ხეობაში იმ ისტორიული ადგილების მახლობლად, რომლებიც ვ. ი. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული.





ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲐᲒᲐᲨᲘᲡ რაიონის სოფელ კეთილარში აშენდა მეცხოველეობის დიდი კომპლექსი. აქ იყოლიებენ 4200 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, აქედან 1200 სულ ფურს.

ძირითადი შრომითი პროცესები ავტომატიზებული და მექანიზებულია. ამასთანავე მთელი ტექნიკური აღჭურვილობა სამამულო წარმოებისაა.

კომპლექსისათვის გამოყოფილია 5 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა, სადაც დათესება მრავალგვარი საკვები კულტურები.

✦✦

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მექანიზატორი თამაზ თედორაია, მეხბორეები ნაზი საბურია და დარეჯან ნაკაშიძე, ვეტექიმი თენგიზ კუპრავა (მარცხნიდან მარჯვნივ) კომპლექსის ამუშავების პირველი დღეებიდანვე გამოირჩევიან კეთილსინდისიერი შრომით; მეცხოველეობის კომპლექსი; მცირე გასადევარზე.

ბ. ᲑᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡ ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამომრჩეველთა კლუბში

თბილისი. ხალხმრავლობა იყო იმ დღეს ამომრჩეველთა კლუბში, სადაც მუშაობენ თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის აგიტატორები და პოლიტინფორმატორები. აქ ახალგაზრდა ამომრჩეველთა წინაშე გამოვიდნენ მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე, ჩარხების გამმართველი, ლენინის ორდენოსანი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ა. მარგველაშვილი და წარმოების სხვა მოწინავენი.

შემდეგ საღამოს მონაწილეებმა დაათვალიერეს გამოფენა „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა მეათე ხუთწლედში" და ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდი. აქ წარმოდგენილი მასალები ნათლად მეტყველებენ საწარმოს კოლექტივის წარმატებებზე მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, გასულ წელს ქარხნის კოლექტივი ზედიზედ სამი კვარტალის მანძილზე ინარჩუნებდა საპრიზო ადგილებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოს ყოველმა მესამე მუშამ უკვე დაამთავრა პირადი ხუთწლიანი დავალების შესრულება.

ამომრჩეველთა კლუბში მუშაობს კინოლექტორიუმი თემაზე „მომნიფებული სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქეთა დიდი უფლებები და თავისუფლებები", კითხულობენ ლექციებს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, ეწყობა შეხვედრები პარტიისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან.

(საქინფორმი).

აგიტპუნქტში მიიჩქარიან

ქობულეთი. (საკ. კორ. მ. გორგილაძე). სოფელ ქობულეთის ამომრჩეველთა კლუბმა (ხელმძღვანელი — გ. ქურციძე) აქტიურად გააჩაღა არჩევნებისადმი მიძღვნილი საგაგიტაციო მუშაობა. აგიტპუნქტში 60 აგიტატორია გაერთიანებული. გაიმართა თათბირსემინარი, შეარჩიეს თემატიკა. იგი ეხება საბჭოთა კონსტიტუციას, საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიულობას, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მოწინავე აგიტატორებს ნ. ბაჯელიძეს, ა. ბოლქვაძეს, ნ. ნაკაიძესა და სხვებს თითქმის ყოველდღე ნახავთ ველ-მინდვრებში, საგაგიტაციო უბნებში. ისინი მშრომელთა სასურველი სტუმრები არიან. მათთან მიაქვთ პარტიის სიტყვა.

ფართო ხასიათი მიიღო აგიტაციამ დეპუტატთა კანდიდატების სასარგებლოდ. აგიტატორები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა 24 თებერვალს მაღალ დონეზე ჩატარდეს არჩევნები.

უბანში ნაყოფიერად მუშაობენ

სილღანი. (საკ. კორ.). არა მარტო გარეგნული გაფორმებით და თვალსაჩინოებით, არამედ ამომრჩეველებთან ნაყოფიერი მუშაობითაც რაიონში გამოირჩევა სოფელ საქობოს 22-ე საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კლუბი (გამგე — გ. ჯანყარაშვილი). მნახველის თვალს იზიდავს შესასვლელშივე გამოკრული ლოზუნგები, პლაკატები.

ამომრჩეველთა კლუბს შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა, აგიტატორთა მორიგეობის გრაფიკი, გამოვიდა გაზეთ „ამომრჩეველის ხმის" მეორე ნომერი.

ყოველკვირეულად ეწყობა აგიტკოლექტივის სხდომა, სადაც არჩევენ სასაუბრო თემატიკას, აგიტატორები ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, გეგმავენ ლექციებს, საუბრებს, მოწინავე ადამიანებთან ამომრჩეველთა შეხვედრებს.

ამომრჩეველებთან ნაყოფიერ საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობით საარჩევნო უბანში გამოირჩევიან აგიტატორები ც. კუტიბაშვილი, მ. სესიტაშვილი, თ. მჭედლიშვილი და სხვები.

ვლ. მჭედლიშვილი.

ქუთაისის ავტოქარხნის რაიონი ერთ-ერთი უდიდესია ქალაქში. აქ, ავტომშენებელთა დასახლებაში, შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების № 256 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო უბანში გაცხოველებით ემზადებიან რესპუბლიკის ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის: შედგენილია საგაგიტაციო-პროპაგანდისტულ ღონისძიებათა სპეციალური გეგმა, დაკომპლექტებულია ლიტერატურის ფონდი საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ, ეწყობა საუბრები იმათთან, ვინც წელს პირველად მისცემს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ ბლოკს, აქვე უშვებენ კედლის გაზეთს „ამომრჩევლის ხმა".

სურათზე: საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში ამზადებენ კედლის გაზეთის ახალ ნომერს და აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს.

გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რეიდი მეცხოველეობის ფერმებში

როგორ ვაზამთრებთ პირუტყვს

ანუ გურჯაანელ მეცხოველეთა შუქ-ჩრდილები

ფლეგანდელი ზამთარი შედარებით მეტ ლმობიერებას იჩენს მეცხოველეების მიმართ, მაგრამ მაინც ჭირვეულობს... ამჯერად რეიდის მონაწილეები დავინტერესდით იმით, თუ როგორ შეხვდნენ გურჯაანის რაიონის მეცხოველეები ზამთარს, მეცხოველეთა ყველაზე დიდ გამომცდელს, როგორი თადარიგიანობა გამოიჩინეს პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის, როგორ იბრძვიან ზამთრის პირობებში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის.

რეიდის მონაწილეებმა ვიცოდით, რა შემართებით შეუდგნენ აქაური მეცხოველეები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელებას, ისიც ვიცოდით, რომ წლევანდელი შრომის ტემპი შარშანდელზე სწრაფი იყო, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რაიონში გატარებულ მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის კურსს, რომელიც პარტიის აგრარული პოლიტიკის საფიცისო ამოცანებიდან გამომდინარეობს, დადებითი შედეგები მოჰყვა, რომ სულ უფრო იზრდება წარმატებები. ხელთ გვქონდა ცნობები იმის შესახებაც, რომ იანვრის პირველ დეკადაში რაიონში დამზადებული იყო 973,6 ცენტნერი რძე გასული წლის ამავე პერიოდის 867,4 ცენტნერის ნაცვლად, რომ რძის ყოველდღიური მატება რაიონში 900 კილოგრამს აღემატება, მაგრამ ვიცოდით ისიც, რომ ამ მიღწევებში ყველას ერთნაირი წილი არ ჰქონ, ამიტომაც გადავწყვიტეთ მეცხოველეობის 3 ფერმის მაგალითით განვიხილეთ მათი ხვედრითი წილი ამ წარმატებებში, საუბაროზე გამოგვეტანა წარმატებებისა თუ წარუმატებლობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

და აი, ველისციხის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — თ. მესხი) მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში ვართ. „ალგი მასპინძელი ეზოდანვე შეიცნობაო", ნათქვამია, ჩვენი პირველი ალგი შთაბეჭდილებაც სწორედ ფერმის ეზო-გარემომ, აქ დამყარებულმა სისუფთავემ და წესრიგმა, გემოვნებით გაფორმებულმა თვალსაჩინოებამ — ლოზუნგებმა, პლაკატებმა, ტრანსპარანტებმა შეგვიქმნა, ფერმის მაჩვენებლების დიაგრამებმა ნათლად წარმოაჩინა ველისციხელი მეცხოველეთა საქმიანობა და ცხოვრება. ნათლად ჩანს, რომ კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებს ალაგად უშრომიათ ზაფხულში. დაუმზადებიათ საჭიროზე ბევრად მეტი ხარისხოვანი საკვები, წესრიგში მოუყვანიათ ფერმები, მექანიზმები, უზრუნიათ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. ამიტომაც ფერმის გამგე ა. ტაბატაძე და ზოოტექნიკოსი შ. ჩიკურიშვილი თადარიგიანი მასპინძლების იერით დაგვიგებიან.

მწყემსთა საყოფაცხოვრებო და შრომის პირობებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ალგად მოწყობილი წითელი კუთხე, მწყემსთა საცხოვრებელი ოთახი — ეს მწველავი-მესაქონლე ვალიკო აბულაძეა, — ვეუბნობს საშუალო ასაკის ალგს შ. ჩიკურიშვილი, — მან და ზაქარია ვარაზაშვილმა მეათე ხუთწლედი სამ წელიწად-ნახევარში შეასრულეს და ახლა რძის მეტარიმეტი ხუთწლედის ანგარიშში აბარებენ სახელმწიფოს. მათ 22 სულ ძროხაზე მარტო შარშან საკვემო 66 ტონა რძის ნაცვლად 91,5 ტონაზე მეტი მიიღეს. საერთოდ კოლმეურნეობის ფერმაში, სადაც ვაზამთრებთ 217 სულ მსხვილფეხას, მათ შორის 120 მეწველს, შარშან ერთ ფურზე გვემთ ვათვალსწინებული 2800 კილოგრამი რძის ნაცვლად მივიღეთ 3521 კილოგრამი, სულ კი 340 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდეთ 394 ტონა ხარისხიანი რძე. ახლა შარშანდელთან შედარებით 120-140 კილოგრამით მეტ რძეს ვწველეთ. მალე ახალი ფერმა გვექნება, თანამედროვე, ტიპობრივი, შემდეგ კი უკეთესი პირობები უკეთეს შედეგებს მოგვიტანს.

ალგი განწყობით ვესტუმრეთ ჩუმლაყის ალეინინს სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ვ. უტიაშვილი) ფერმას, ამ განწყობის საფუძველს კოლმეურნეობის ალგი ტრადიციები გვიქმნიდა. და აქ უფრო მეტ თადარიგიანობას და წესრიგს ველოდით, ამიტომაც იყო, რომ რეიდის მონაწილეთა გაკვირვება გამოიწვია აქ შექმნილმა მდგომარეობამ.

კოლმეურნეობას შესრულებული არა აქვს სადგამი პირუტყვის სულადობის გეგმა. ფერმის 290 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან გეგმით გათვალისწინებული 170 სულის ნაცვლად 123 სულია მეწველი. მართალია, ერთ ფურზე 2035 კილოგრამი რძის ნაცვლად 2300 კილოგრამი რძე მიიღეს, მაგრამ, ცხადია, საერთო გეგმას ვერ შეასრულებდნენ. დაგეგმილი 346 ტონის ნაცვლად წარმოებულია 290 ტონა რძე. ყოველდღიურ წველადობაშიც შარშანდელთან შედარებით ჩამორჩებიან. ვცადეთ მოგვეძებნა ამის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

— როგორა გაქვთ საკვების საქმე? — ვეკითხებით ფერმის გამგეს ე. შაოშვილს.

— საკვები საჭიროზე მეტი დავამზადეთ, მაგრამ იგი უხარისხოა, — თქვა მან გულახდილად. გარდა ამისა ჩვენთან ალგიყვანილების რეჟიმი, რაც იმის ბრალია, რომ ფერმაში არა გვაქვს საკვების შესანახი სათავსები. ცენტრალური საწყობიდან მიღებული საკვების აწონის საშუალებაც არა გვაქვს. რადგან სასწორი არ გაგვაჩნია, პირუტყვს ალწონვად ვაძლევთ საკვებს.

ფერმის მექანიკოსი რ. ოსიაშვილი უკმაყოფილოა საკვების საამქროს მუშაობით. იგი ემფურის „საქსახკომსოფლტექნიკის" მუშაკებს იმის გამო, რომ უხარისხოდ, ცუდად დაამონტაჟეს ეს დანადგარი. მტვერი და დიდი ვიბრაცია აფერხებს მის მუშაობას, ამასთანავე ფერმა ძველია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ეტყობა, აქ არც მწყემსთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის უზრუნიათ.

— ჩვენთან არავინ ფიქრობს მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებებზე. — ამბობს მწველავი-მესაქონლე დავით გობეჯიშვილი, — პირადად მე დიდი ხანია მსურს მსუბუქი მანქანის შეძენა. 1962 წლიდან რიგში ვარ... არ მახსოვს, რომ რომელიმე მწყემსს მანქანა შეეძინოს, ამ მხრივ კი ჩვენი კოლმეურნეობის სხვა ადგილებს სასაყვედურო არა აქვთ, რა.

არც გურჯაანის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 საძეო-სასაქონლო ფერმაში (ფერმის ბრიგადირი — ვ. ქიტაშვილი) დაგვხვდა სახარბიელო მდგომარეობა. ძველი ფერმის შენობის შეკეთებისათვის ალგად არ უზრუნიათ. საკვების უხარისხობას აქაც უჩივიან, სილოსი, ლაბორატორიული მონაცემებით, 0,22 საკვები ერთეულის ნაცვლად 0,16-ს შეიცავს. ფერმაში მოგება-დაგრილების მცდარი ორგანიზაციის შედეგად არ იწველება ძროხების 50 პროცენტზე მეტი, ნაცვლად 20-25 პროცენტისა, რაც დიდ ზარალს ალბენს რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებაზე. თუ გასული წლის პირველ ეკვადაში მოწველილი იყო 2518 კილოგრამი რძე, 1980 წლის იანვრის 10 დღეში მხოლოდ 2344 კილოგრამი მიიღეს. საქმეს ისიც ართულებს, რომ აქ ნაკლებად ზრუნავენ მექანიზაციის დანერგვაზე, უქმად უწყვიათ საწველი აპარატები, ფერმის ეზოში წვიმასა და თოვლში უწესრიგოდ ყრია საკვების საამქროს მოწყობილობა, რომელიც შენობის უქონლობის გამო ფუჭდება.

ფერმის მუშაკებმა იმით დავიამედეს, რომ მეურნეობის ახალი დირექტორი რ. ნასარიძე უფრო ეხერხეულ მზრუნველობას იჩენს მათ მიმართ. ჩვენ გვინდა ვთხოვოთ გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობას (ამხ. შ. ბერიკლაშვილს) და მეცხოველეობის სპეციალისტებს უფრო ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ რაიონის მეცხოველეებს არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ვ. მამათელაშვილი — გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების ზოოტექნიკოსი, **შ. ჭიჭიკაშვილი** — გურჯაანის მეცხოველეობის სამეურნეოთაშორისო გაერთიანების მთავარი ზოოტექნიკოსი, **აპ. ბაბიაშვილი** — გაზეთ „ლენინის გზით" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, **დ. გეგეშიშვილი** — გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ერთსულოვნების ვითარებაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია

ესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს:

ქალაქ თბილისის № 3 ლოტკინის საარჩევნო ოლქში თბილისის საწარმოო გაერთიანების „ჩარხთმშენებლის" ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხთსაშენებელი ქარხნის მუშა **რომან ტიტიკოს ძე ორაგველიძე,**

ქალაქ თბილისის № 17 საქარხნო საარჩევნო ოლქში ჩაის საწონი ფაბრიკის საფუთავი მანქანის მემანქანე **ლამარა ალექსანდრეს ასული ლოსიშვილი,**

ქალაქ თბილისის № 51 კიროვის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ სახელმწიფოთა აკადემიის ვ(ვ)-პრეზიდენტი **გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე,**

ქალაქ თბილისის № 23 პირველი მაისის საარჩევნო ოლქში საწარმოო გაერთიანების „თბილისკონდიტერის" მუშა **მავრა გიორგის ასული რუხაძე,**

ქალაქ თბილისის № 37 ფიროსმანის საარჩევნო ოლქში „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს გვირაბგამყვანი **გიორგი დიმიტრის ძე მესხი,**

ქალაქ თბილისის № 67 ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქში თბილისის მექანიკური ქარხნის საწარმოო გაერთიანების „ელვას" მმართველი გამომთვლელი **მანქანების ქარხნის მუშა ნანა ტარიელის ასული შუღლიაშვილი,**

ქალაქ თბილისის № 38 ნინოშვილის საარჩევნო ოლქში თბილისის დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს მემანქანე **ნოდარ ნიკოლოზის ძე კობახიძე,**

ქალაქ თბილისის № 66 მშენებელთა საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გურამ ზაალის ძე მირიანაშვილი,**

ქალაქ თბილისის № 49 ლენელიძის საარჩევნო ოლქში თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის მკერავი **ფეოდოსია ივანეს ასული ეროკაევა,**

ქალაქ თბილისის № 79 ვაზისუბნის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ალექსანდრე ივანეს ძე არხიპოვი,**

ქალაქ თბილისის № 84 მელიორატორთა საარჩევნო ოლქში თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის მკერავი **სვეტლანა ლეონტის ასული თუთბერაძე,**

ქალაქ თბილისის № 65 დელისნის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე ილიას ძე ბუაძე,**

ქალაქ თბილისის № 50 800 არაგველის საარჩევნო ოლქში თბილისის მექანიკური ქარხნის ზეინკალი **ანატოლი თევდორეს ძე სახაცკი,**

ქალაქ თბილისის № 64 პავლოვის საარჩევნო ოლქში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა,**

ქალაქ თბილისის № 74 კახეთის საარჩევნო ოლქში თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშა **ანგელინა შალვას ასული მელქაძე,**

ქალაქ თბილისის № 68 ნუკუბიძის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აომოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი **თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე,**

ქალაქ თბილისის № 89 დიმიტროვის საარჩევნო ოლქში თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი მქონარი **თევდორე მიხეილის ძე ბარგინი,**

ქალაქ სოხუმის № 358 გორკის საარჩევნო ოლქში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი **ალექსი ივანეს ძე შირინკინი,**

ქალაქ სოხუმის № 362 ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი **ბორის არკადის ძე ლაპინი,**

გულრიფშის რაიონის № 388 **ბაბუშერის** საარჩევნო ოლქში სოფელ ვლადიმიროვკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ლუიზა ვლადიმირის ასული ნაჭყებია,**

ქალაქ გაგრის № 370 **გაგრის პირველ** საარჩევნო ოლქში გაგრის ქალაქმრეწველობინტის საგალანტერეო საამქროს მკერავი **ნატო შოთას ასული შერგილაშვილი,**

გუდაუთის რაიონის № 377 **ლიხნის** საარჩევნო ოლქში სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი, კოლმეურნეობის „დურიფშის" გამგეობის თავმჯდომარე **ივანე ხაშიმის ძე ტარკილი,**

სოხუმის რაიონის № 382 **გუმისთის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე **ბორის ზაქარიას ძე ბარსუკოვი,**

ოჩამჩირის რაიონის № 389 **აძიუბჟის** საარჩევნო ოლქში სოფელ ათარის ჭანბას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **მანანა სისოს ასული კვიციანა,**

№ 396 **გალის** საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ლუბა გიორგის ასული ნიეარაძე,**

ზუტაფონის რაიონის № 240 **ზედა სვანეთის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ზუტაფონის რაიკომის პირველი მდივანი **მამუკა ალექსანდრეს ძე ასლანიკაშვილი,**

ქალაქ რუსთავის № 184 **რუსთაველის** საარჩევნო ოლქში რუსთავის ქიმიური ქარხნის უფროსი მეპატარეა **ლეილა ზაქარიას ასული გუდაძე,**

ლაგოდეხის რაიონის № 216 **აფენის** საარჩევნო ოლქში სოფელ აფენის კოლმეურნეობის „საქართველოს" მეაბრეშუმე **მარი მინაგოს ასული მახათაძე,**

ლანჩხუთის რაიონის № 310 **სუფსის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი **ოთარ ირაკლის ძე მენაბდე,**

გურჯაანის რაიონის № 196 **ჩუმლაყის** საარჩევნო ოლქში სოფელ ჩუმლაყის ალეინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი **მერაბ ივანეს ძე რუაძე,**

თხილნარის საარჩევნო ოლქში თხილნარის მეცხტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი **მელანო ისმაილის ასული დუმბაძე,**

№ 411 **ქობულეთის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ჭოჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **გურამ იაგორის ძე ჩიგვიძე,**

ქალაქ ბათუმის № 409 **დიმიტროვის** საარჩევნო ოლქში ბათუმის ხის დამშშავებელი ქარხნის მუშა **გულნარა გიორგის ასული მაჭარაძე,**

ხელვაჩაურის რაიონის № 419 **ახალშენის** საარჩევნო ოლქში სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის კოლმეურნე **თამაზ რევაზის ძე ბასილაძე,**

შუახევის რაიონის № 427 **დღვანის** საარჩევნო ოლქში სოფელ დღვანის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ციური გივის ასული ფუტკარაძე,**

ქალაქ ბათუმის № 406 **ზიმშიაშვილის** საარჩევნო ოლქში ბათუმის ხახლოსაშენებელი კომბინატის მებეტონეთა ბრიგადირი **რევაზ ხულუსის ძე დიასამიძე,**

№ 429 **ხულოს** საარჩევნო ოლქში სოფელ დიდაჭარის კოლმეურნეობის მწველავი" **ნათელა ბასანის ასული ბოლქვაძე,**

მაიაკოვსკის რაიონის № 303 **წითელსტვენის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი **ანზორ კონსტანტინეს ძე ჩარქილიანი,**

სამტრედიის რაიონის № 292 **მარქსის** საარჩევნო ოლქში № 25 მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი **დავით სიმონის ძე ბაღდავაძე,**

მარნეულის რაიონის № 169 **ორჯონიკიძის** საარჩევნო ოლქში წრეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ანგელინა სერგის ასული ღონდაძე,**

ბოლნისის რაიონის № 163 **ქვემოს** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი **ოთარ იპატის ძე ღლონტი,**

ზუგდიდის რაიონის № 333 **ინგირის** საარჩევნო ოლქში ინგირის კოლმეურნეობის მეჩაიე **ლუდას ასული ლაგვილავა,**

ქალაქ ფოთის № 357 **ნინოშვილის** საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **გიორგი პავლეს ძე გამცემლიძე,**

გორის რაიონის № 108 **შავშვების** საარჩევნო ოლქში სოფელ ბერშუეთის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ავთანდილ შალვას ძე ჩილინდრიშვილი,**

ქალაქ გორის № 117 **ძნელაძის** საარჩევნო ოლქში თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი **ნათელა შალვას ასული ვასაძე,**

ქალაქ ჭიათურის № 243 **ლენინის** საარჩევნო ოლქში „ჭიათურმანგანუმის" სამთამადნო კომბინატის დირექტორი **მიხეილ პლატონის ძე აფაქიძე,**

გარდაბნის რაიონის № 94 **კალინინის** საარჩევნო ოლქში ჯანდარის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქშებელი საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი **ნოვრუზ მამედ ოღლი მამედოვი,**

№ 138 **ადიგენის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი **გიორგი გიორგის ძე ახმეტელი,**

ზუტაფონის რაიონის № 239 **ძირულის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და ქიმიის მრეწველობის განყოფილების გამგე **ოთარ მიხეილის ძე ივანაშვილი,**

ახალქალაქის რაიონის № 143 **ალასტანის** საარჩევნო ოლქში სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **მათეოზ მისაკოს ძე საარიანი,**

ქალაქ გორის № 115 **ორჯონიკიძის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბელა ზაქარიას ასული მაყაშვილი,**

ჩხოროწყუს რაიონის № 345 **ლესიჭინის** საარჩევნო ოლქში სოფელ ახეთის კოლმეურნეობის მეჩაიე **გულნარა ალექსანდრეს ასული ჩიტაია,**

ქალაქ ქუთაისის № 260 **მარქსის** საარჩევნო ოლქში ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაკეთობათა ქარხნის მუშა **დაგმარა ვლადიმერის ასული ბანძელაძე,**

ქალაქ ქუთაისის № 265 **ნინოშვილის** საარჩევნო ოლქში ქუთაისის პურკომბინატის მუშა **მერი ტერენტის ასული ბიწაძე,**

ქალაქ ქუთაისის № 261 **ჭავჭავაძის** საარჩევნო ოლქში ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა **გივი ნიკოლოზის ძე გურეშიძე,**

ცხინვალის რაიონის № 433 **ცხინვალის** სასოფლო საარჩევნო ოლქში თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწველავი **ავრაფინა ვლადიმერის ასული ტეგაევა,**

ქალაქ ფოთის № 353 **რუსთაველის** საარჩევნო ოლქში ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხნის მუშა **ალი ტერენტის ასული ჭანტურია,**

ბორჯომის რაიონის № 132 **წაღვერის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი **ირაკლი ვლადიმერის ძე გურგენიძე,**

ჭობოლეთის რაიონის № 415 **ბობოყვათის** საარჩევნო ოლქში სოფელ დაკვის კოლმეურნეობის მეჩაიე **ელენე ალექსის ასული პავლიდი,**

ქალაქ ბათუმის № 408 **ფრუნზეს** საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ აკაკის ძე ფოფხაძე,**

ხელვაჩაურის რაიონის № 423 **აჭარისწყალის** საარჩევნო ოლქში სოფელ კირნათის კოლმეურნეობის მეჩაიე **მერი რემზის ასული კახაბერიძე,**

ხელვაჩაურის რაიონის № 420 **ურეხის** საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **აკაკი არჩილის ძე დვალიშვილი.** (საქინფორმი).

ხალხი მათ ენდობა

ამომრჩეველთა შეხვედრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

რესპუბლიკაში მიმდინარეობს ამომრჩეველთა შეხვედრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. ხალხმრავალ კრებებზე კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი, სხვა ორატორები აშუქებენ ხალხის იმ საუკეთესო წარმომადგენლთა ცხოვრებას, შრომითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს შრომითი კოლექტივების საარჩევნო კრებებზე და რეგისტრირებული არიან საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ.

საზეიმო და საქმიანი განწყობილება ამ შეხვედრების განმასაზღვრელი ნიშანია. ამომრჩევლები მოლიანად და ხავსიანთ იწონებენ პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტს, მისი პოლიტბიუროს ნაყოფიერ საქმიანობას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ისინი განაწყენს აძლევენ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, შეაქვთ მნიშვნელოვანი წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას.

საზეიმოდ არის მორთული თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების „ისნის" კულტურის სახლის დარბაზი. აქ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 78 7 ოქტომბრის სახელობის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ ამ ოლქში თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, გაერთიანების სატვიფრავი საამქროს გამომკვეთთა ბრიგადირს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გივი ილიას ძე რიმნისთავეულს.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის ქალაქგანმ ფაბრიკის დირექტორმა თ. დ. ქაპანაძემ.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — გაერთიანება „ისნის" გამოსაჭრელი საამქროს მუშამ მ. დ. ქვეხიშვილმა ილაპარაკა გ. ი. რიმნისთავეულის ცხოვრების გზაზე, მის შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაზე. მან დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათა როგორც მუშათა კლასის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ახალგაზრდობის მზრუნველი დამრიგებელი. არა მარტო საწარმოში, არამედ რესპუბლიკაშიც, მის ფარგლებს გარეთაც ვავრცელდა მოწინავე გამომცდელთის ინიციატივა ხისტი ტყავის მასალის დაზოგვის შესახებ. გ. ი. რიმნისთავეულს მოწინავე გამოცდილების სკოლა გაიარა ბეგრმა მუშამ, რომლებიც თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები გახდნენ. იგი არის აქტიური საზოგადო მოღვაწე, სატვიფრავი საამქროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, გაერთიანების პარტკომის წევრი. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

მ. დ. ქვეხიშვილმა მოიწოდა ოლქის ამომრჩეველებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ თავიანთი დეპუტატობის კანდიდატს გ. ი. რიმნისთავეულს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ქალაქის ფაბრიკის მუშა ი. ა. რეზნიჩენკო, გაერთიანება „ისნის" სატვიფრავი საამქროს მუშა გ. ზ. აოდგომელაშვილი, ამ გაერთიანების გენერალური დირექტორი ვ. მ. ნადირაშვილი, გამოსაშვრელი საამქროს მუშა, ახალგაზრდა ამომრჩეველი ი. ი. ბირბიჭაძე, № 2 სამკერალო საამქროს მუშა გ. ა. ლომიძე და სხვები. მათ მოიწოდეს ოლქის ყველა ამომრჩეველს 24 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა ლენინელი კანდიდატს.

შეხვედრაზე გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი გ. ი. რიმნისთავეული. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა ოლქის ამომრჩეველს და პირობა დადო, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა გამართლოს ეს დიდი ნდობა.

